1889 წელსა. № 1 1—15 იანვარს.

F. 25/1889

მ წ ყ ე მ ს ი

(ოფიციალური ნაწილი.)

პირი.

უმაღლესი რესკრიპტი.

ყოვლად სამღვდელო ექსარხოსო საქართველოისავ, მთავარ-ეპისკოპოსო ქართლისა და კახეთისა

პ ა ლ ლ ა დ ი!

შემდეგ ხანგრძლივი სამსახურისა რუსეთის შინაგან ეპარქიებში, იქმენით რა მოწოდებული მმართველად იმიერ და ამიერ კავკასიის მხრის საეკკლესიო საქმეებისა გარემოებათა შორის, რომელნიც ითხოვდენ განსაკუთრებულ მზრუნველობას,—თქვენ სასურველის ჯეროვნებით ამართლებთ ამ მაღალს და დიდ—მძიმე დანიშნულებას.

ამ მიმდინარე წელში კავკასიის ნახვის დროს მე დავრწმუნდი, რომ თქვენს მღვდელმთავრულ მოქმედებას, აღსავსეს მშვიდობითა და სიყვარულითა, აქაც, როგორც წინანდელს თქვენს სამსახურის ადგილებში, მოუპოვებია თქვენთვის პატივისცემა და მამაშვილური ერთგულება მრავალ თემიანი სამწყსოისა. გულს მოდგინება თქვენი თქვენდამი რწმუნებული სამწყსოისა სასულიერო საჭიროებათა და წარმატებისათვის მრავალ გვარ საეკკლესიო დაწესებულებათა მხარეში შეერთებულია მწყემსურ ზრუნვასთან კეთილ გამშვენებაზე და ეკკლესიურ წესიერებაზე და განათლებულს მზრუნველობასთან დაცვისა და გამშვენებისათვის წმიდა ნაშთთა ძველის ქრისტიანობისა, რომლებითაც ძველადგანვე ასე მდიდარია მართლმადიდებელი საქართველო.

ნიშნად ჩემის ყურადღებისა თქვენის ღირსეულის და სასარგებლო მოღვაწეობისადმი ყოვლად-უმოწყალესად გიბოძებ თქვენ ამასთანავე წარმოგზავნილს ბრილიანტის ჯვარს ბარტყულაზედ სატარებლად.

მივანდობ რა თავსა ჩემსა ლოცვათა თქვენთა, დავშთები თქვენდამი მარადის მწყალობელი.

ნამდვილზე მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის საკუთარის ხელით მოწერილია:

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე.

გატჩინოში.
25 დეკემბერს 1888 წ.

უმაღლესი ბრძანება.

17 ოქტომბრის ყოველ წლობით საეკკლესიო დღესასწაულად დადგინებაზე სახსოვრად ამ დღეს მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის და მათი უავგუსტოესი სახლობის სასწაულებრივ გადარჩენაზე.

უწმიდესმა სინოდმა სამადლობელად უფლისა ღვთისა, რომელმაც სასწაულებრივი ძალით დაიფარა სიცოცხლე ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფა იმპერატრიცისა, მემკვიდრე ცესარევიჩისა და ხელმწიფის ყველა შვილთა სიკვდილის მოქადე საშიშროებისაგან ამა წლის 17 ოქტომბერს რკინის გზის მატარებლის დამსხვრევის დროს, საკეთილოდ სცნა ლოცვითი მოსაგონებლად დიდის მოწყალებისა ღვთისა ქრისტიანოს სახელმწიფოისადმი, დადგინდეს ყოველ წლივ 17 ოქტომბერს იმპერიის ყველა მართლ-მადიდებელ ეკკლესიებში საღმრთო ლიტურგიის დიდებულად შესრულება, ხოლო მის შემდეგ სამადლობელი პარაკლისისა უფლისა ღვთისადმი მუხლ მოდრეკით, და მიენიჭოს ადგილობრივ მღვდელთ-მთავართა უფლება ამ დღეს სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეთა განთავისუფლებისა სწავლისაგან. ამისა გამო სინოდმა დადგენილობისამებრ ამა წლის 21 ოქტ. 4 ნოემბრისა, მიანდო სინოდის ობერ-პროკურორს ესე მოაზრებანი წარედგინა უმაღლესად კეთილ განსახილველად მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისათვის. ამ უქვე[…] შევრდომილეს მოხსენებაზე სინოდის ობერ-პროკურორისა, ხელმწიფე იმპერატორმა წარსულს ნოემბრის თორმეტს კეთილ ინება დადგინება ყოველ წლივ ეკკლესიურად 17 ოქტომბრის დღესასწაულობისა, სახსოვრად მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა და მათის უავგუსტოესის სახლობის სასწაულებრივ სიცოცხლის გადარჩენისა.

გურია სამეგ-ელოის ეპარქიალური კანცელა-რიისაგან.

ოზურგეთის მაზრაში, სოფელს შებანში არის დაცლილი მღვდლის ადგილი. ამ სამრევლოში არის სულ 85 კომლი. კრებულთათვის არ არის საეკკლესიო ბინა და არც ჯამაგირი[…] დანიშნული ხაზინიდამ, მხოლოდ კომლზე დანიშნულია ორ-ორი მანეთი და სხვა ჩვეულებრივი შემოსავალი. ამ ადგილზე ადგილობითი სასულიერო მთავრობა იწვევს სემინარიაში კ[…] კურს შესრულებულ პირს.

სეკრეტარი თ. ალმ. ჯ. ცეცხლაძე.

1889 წელსა, № 1 1—15 იანვარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

3-13

მწყემსი

1883-1889

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თვეით	5 მან.	12 თვეით	6 მან.
6 —	3 —	6 —	4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *въ Квирилы, въ контору редакціи „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

შინაარსი: ოფიც. ნაწ.: უმაღლესი რესკრიპტი.—უმაღლესი ბრძანება.—გურია-სამეგრელოს ეპარქიალური კანცელარიისაგან.—1 იანვარი 1889 წ.—შეცდომილებანი, რომელნიც გვაშორებენ ჩვენ ჩვენ სამწყსოთა და ჭბადაგენ მათ გულში დაუნდობლობას ჩვენდამი.—რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენში სწავლა-განათლების საქმე.—«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია საჩხერიდამ.—წერილი რედაქტორთან.—ახალი ამბები და შენიშვნები.—რედაქციის პასუხი.—რედაქციისაგან.—განცხადებანი.

1 იანვარს 1889 წელსა, თბილისი.

მოგილოცავთ ახალ წელიწადს! ღმერთმან ბედნიერი ჰქმნას ეს ახალი წელიწადი ყველასათვის! ღმერთმან მოგვანიჭოს ჩვენ ძალა ყოველივე ჩვენი კეთილი სურვილის აღსრულებისათვის...

მირბიან და მირბიან წელნი და ჩვენ ცისე შევხვარით ყოველს ახალს წელს, თითქო გვიხაროდეს ჩვენი სულის უკანასკნელი აღმოფშვინვის მოახლოება. რას არ იგონებენ, რომ როგორმე დრო მოჰკლან და მოწყენილობა გააქარწყლონ! მაოცებული შეჰყურებ ხალხს: ერთი ევედრება ღმერთსა, რომ დღე გაგრძელდეს და თავის დაუსრულებელი საქმე დაასრულოს, მეორე კი დიდის ნატვრით მოელის დაღამებას და სწუხს, როცა მალე თენდება. Ცხადათ და აშკარად ეხედავთ ამ სხვა-და-სხვა სურვილთა შედეგებს და ნაყოფს. ერთის მხრით ეხედავთ სიმდიდრეს, მეორეს მხრით სილატაკეს; ერთის მხრით კეთილ-დღეობას, მეორეს მხრით ყოველნაირს სიავრაგეს და ბოროტებას. აი უმთავრესი ნიშნები ახალი დროისა, ახალ წელიწადთა. დიდის ამბით, დიდის აღტაცებით ვეგებებით ახალს წლებს და ვიმედოვნებთ, რომ მათ თან მოჰყვება ჩვენთვის ახალი ბედნიერება და ახალი შეებალხინი. როცა ძველს წელიწადში ჩვენი სურვილი არ გვისრულდება, ამათში ბრალსა ვსდებთ ძველს კვიმატიანს წელიწადს და არა ჩვენს თავს.

აღარ გვახსოვს, რომ ქვეყანაზედ ახალი არა არის რა. მზე და მთვარე, ვარსკვლავნი და დედა-მიწა ერთი და იგივენი არიან ღღიდგან მათი შექმნისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალარ გვახსოვს, რომ ქვეყნიერობა კაცის დაუხმარებლად ახალს არასა ჰშობს... ალარ გვახსოვს, რომ, თუ რამე კარგი, სასიამოვნო და შესანიშნავი მოხდარა ქვეყანაზედ, თვითონ ხალხისაგან მოხდარა, თვითონ ხალხის შრომის შედეგი ყოფილა იგი. ისტორიაში აქა-იქ ზოგიერთი წელნი და დრონი მხესავთ ბრწყინავენ, ეს წელნი ხალხისათვის დაუვიწყარნი და სიამოვნებით მოსაგონარნი ხდებიან. ახალი დგმა ამისთანა წელთა და დროთა ყოველთვის სიამოვნებით იგონებს და შეჰხარის. მაგრამ ვიმეორებთ, რომ ეს წელნი შესანიშნავნი და კეთილ-მოსაგონარნი გამხდარან იმ წლებში მცხოვრებ ხალხთა მეოხებით. აქედამ ცხადათა ვხედავთ, რომ თვითონ ჩვენზედ ყოფილა დამოკიდებული ჩვენი ცხოვრების ავ-კარგიანობა და ის, თუ რა მნიშვნელობა უნდა მიეცეს ისტორიაში ყოველს აწ მდგომარე ახალს წელს.

პირველი ჩვენი სიტყვა თქვენდამია, ჩვენო მოძმენო წოდებითა! დიდია დანიშნულება და მოწოდება ჩვენი! ჩვენ მარილი ვართ ქვეყნისა, სიტყვისაებრ მაცხოვრისა,—და ამ მოკლე სიტყვებში სრულად და ნათლად არის გამოხატული ჩვენი ამ ქვეყნიური დანიშნულების და მძიმე სამსახურის დედაარი. ყოველი ახალი წელიწადი მოგვაგონებს ჩვენ ესრეთს ჩვენს დანიშნულებას და უნებლიეთ ჰბადავს ჩვენში შემდეგ კითხვებს: ვამართლებთ თუ არა ჩვენ ამ მაღალს ჩვენს დანიშნულებას? მართლა საქმით ვართ ჩვენ ჭეშმარიტი მარილი ქვეყნისა, თუ არა? ჩვენი გულითადი სურვილია, რომ თქვენც, თანამოძმენო, დღეს, ამ ახალ წლის დამდეგს მისცეთ თავისთავს ეს კითხვები და მათი ახსნის დროს კრიტიკულად ჩაუკვირდეთ თქვენს მწყემსებრივს მოღვაწეობის ავ-კარგიანობას. თქვენ ამ შემთხვევაში უეჭველად შენიშნავთ თქვენს ნაკლთა და სუსტ მხარეთა და ისარგებლებთ ამ ახალის წლით, რათა იგინი გაისწორონთ, ანუ შეასუსტოთ. მართალია, თქვენც აღმოაჩენთ მრავალს ჯეროვანს ზომებს თქვენ ნაკლთა გასასწორებლად, თუ მოინდომებთ, მაგრამ ჩვენც ჩვენის მხრით მოვალეთ ვსთვლით ჩვენს თავს მიგითითოთ ერთს ეგრეთს საშუალებაზე—და, ვფიქრობთ, ეს საშუალება უნდა იყოს ერთი უებარი წამალთაგანი ჩვენი დღევანდელის სენის განსაკურნებლად. ეცადეთ, თანამოძმენო, იყოთ ცხოველი მაგალითი წინაშე თქვენის სამწყსოისა ყველა იმ მაღალ ზნეობრივ მცნებათა, რომელთაც გვასწავებს ჩვენ წმიდა სახარება. ეცადეთ დაარწმუნოთ ხალხი თქვენ სწავლა-მოძღვრებათა ჭეშმარიტებაში საკუთარის ცხოვრებით. საქმით დაამტკიცეთ სიტყვანნი თქვენნი და ქველ-მოქმედი და ჭეშმარიტი მწყემსებრივი თქვენი მოქმედებით გეჭიროსთ ჯეროვან სიმაღლეზე მაღალი წოდება ეკლესიის მწყემსისა თქვენ სამწყსოთა შორის. ასე თუ მოიქცევით, მაშინ თქვენი ცხოვრება თავისთავად გახდება მისაბაძველი და ცხოველ მაგალითად ხალხის თვალში, თვით თქვენ დაემზგავსებით მაღალ ადგილზე დადგმულს ანთებულს ლამპარს, რომელიც ფანტავს თავის გარეშე სიბნელესა და წყვდიადსა; თქვენი ცხოვრება განაახლებს სამწყსოთა ცხოვრებას, მოახდენს ძირეულ ცვლილებას მათს გულთა და გონებაში,—და ნაყოფიც თქვენი ესრეთი შრომისა და მოთბინებისა ბალე იჩენენ თავს.

ყოველი ძველი წელიწადი, იბრუნებს რა პირს საუკუნეთა უფსკრულისაკენ სამუდამოდ ჩვენდა გამოსათხოვრად,—უეჭველად სწევს კაცობრიობას ერთი საფეხურით მაღლა განათლების წინ-მსვლელობის კიბეზედ; ყოველივე თან-და-თან უმჯობესდება და ვითარდება, საზოგადოთ რომ ვსთქვათ. ამიტომ ყოველი კაცი,—ვინც კი ცოტად მაინც მოზიარეა განათლებისა,—მოვალეა არ ჩამოჩრჩეს უკან, ამ კაცობრიობის წინ-სვლას. ჩვენო თანამოძმენო, თქვენ ცხადათ ხედავთ, რომ დღეს ნამეტურ აჩქარებულის ფეხით მიისწრაფის წინ ეს მოძრაობა, მით უფრო მოვალენი ხართ თქვენ ფრთხილად იყოთ და ყურადღებას აქცევდეთ ამ მოძრაობას, კაცობრიობის განათლებული ნაწილისას. ეცადეთ შეითვისოთ ახალი სინათლე განათლებისა, რათა უმეტესად შეგეძლოსთ განავრცელოთ ესრეთი ნათელი თქვენ გაუნათლებელ და უმეცრების ბნელით მოსილს სამწყსოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის. მოჰკიდეთ ხელი თვითგანვითარებას, იკითხეთ, დაუკვირდით ყველაფერს, შეეჩვიეთ მსჯელობას და აზროვნობას, ისწავლეთ და ასწავლეთ. შეუდექით ყველა ამას და, მერწმუნეთ, ეს ახალი წელიწადი აღმოჩნდება თქვენთვის სავსე ახალის სასარგებლო ნაყოფებითა, ახალის გაუმჯობესობებითა, ახალის იმედებითა და სასოებით...

მეორე ჩემი სიტყვა თქვენდამია, ჩემნო თანამოკალმენო, თანამოძმენო სალიტერატურო ასპარეზზე! მოგილოცავთ ახალს წელს, ახალი ნათელი და ბრწყინვალე იდეებითა და აზრებით საკეთილოდ და აღსაყვავებლად თქვენის მკითხველებისა. ჩვენ ვცხოვრებთ ისეთს დროს, როცა მწერლობას დიდი უფლება და გავლენა აქვს საზოგადოების ყოველს წრეში, როდესაც იგი უშიშრად ესარჩლება მართალს, კეთილს და უმანკოებას და სთრგუნავს ყოველ გვარს სიცრუეს და ბოროტებას,—ამიტომ თქვენ მით უმეტესად პასუხის მგებელნი ხართ თქვენის მკითხველების წინაშე, რომელთა გონება და გული თქვენგან მოელიან მარგებელს საზრდოსა და შველას. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ ამა დიდათ მძიმე და ეკლიან გზაზედ თქვენის მაღალის დანიშნულებისა!

ჩვენი მესამე სიტყვა თქვენდამია, მასწავლებელნო და მოსწავლენო! მოგვილოცავს თქვენთვის ახალი წელი, ბატონო მასწავლებელნო ჩვენის ახალის თაობისა! ძნელი გასაზომია სიდიდე თქვენმიერ ნაკისრი საქმისა. თქვენზედაა დამოკიდებული ჩვენი მერმისის ბედ-იღბალი, რადგან თქვენ გვიმზადებთ ახალსთაობას, რომელმაც უნდა დაიკავოს ჩვენი ადგილი მომავალში. შვილები, რიგი და წესია, რომ ჯობდენ გონებით და სწავლა-მეცნიერებით თავიანთ მშობელთა, მაშასადამე თქვენ, მასწავლებელნო, უნდა იყვნეთ მეთაური კაცები, უნდა გონებით და ზნეობით მაღლა იდგეთ თქვენს თანამედროვე მოზარდთაობის მშობლებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ვერ გაამართლებთ ჩვენგან გამოთქმულ აზრს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამოდენი შრომა, ენერგია, გამოცდილება და მოთმინება მოეთხოვება თქვენგან თქვენი მოღვაწეობის ასპარეზზე ჯერ თვითონ თქვენი თავის განსავითარებლად და მერე განსაწრთვნელად თქვენდამი რწმუნებულის მოზარდი ყმაწვილებისა. ღმერთმა მოგცესთ ახალ-ახალი წარმატებანი თქვენს სამსახურში, ღმერთმა მოგცეთ უმაღლესი სიყვარული შეგირდებისადმი, უმეტესი ერთგულება და ბეჯითობა თქვენს საქმეში, უმეტესი ხერხი და საშუალებანი სწავლა-მეცნიერების გადაცემაში.

თქვენთვის, მოსწავლენო, ვისურვებთ ბეჯითობას, ხალისს სწავლაში, კეთილს ყოფა-ქცევას, მორჩილებას უფროსების წინაშე და მოთმინებას თქვენს შრომაში და მეცადინეობაში! ნუ დაივიწყებთ, რომ სკოლაში ეწყობა და სრულდება მომავალი კაცი— და დრო, დაკარგული თქვენგან სკოლაში, დაკარგულია დაუბრუნებლივ და სამუდამოდ.

ჩვენი უკანასკნელი სიტყვა თქვენდამია საერთოთ, სამწყსონო! მოგილოცავთ თქვენ ახალს წელს და ვისურვებთ, რომ მან თქვენს ცხოვრებაში მოახდინოს სრული ახალი განახლება საუმჯობესოდ, წაგწიოსთ თქვენ წინ ყოველის მხრით გონებრივად, ზნეობრივად და ნივთიერად... სად, ან ვისში უნდა მოიპოვოს ახალმა წელმა ესრეთი სასწაულმომქმედი ძალა, რომელმაც უნდა შესცვალოს მთელი ჩვენი ცხოვრება? არსად და არც არავისში, თვით თქვენს გარეშე. თქვენ თვითონ ხართ პირველი და უკანასკნელი მიზეზი, როგორც თქვენის ბედნიერებისა, აგრეთვე ყველა თქვენ უბედურებათა, მწუხარებათა და ტანჯვათა.

პატიოსანი ცხოვრება და გონიერი შრომა, რომელიც არ ჰკარგავს არც ერთს წამს ძვირფასის დროისას —აი ის ორი უმთავრესი პირობა, რომელთაც შეუძლიათ მოგანიჭონ თქვენ ახალი ბედნიერება და ახალი შვება-ლხენი ამ ახალს წელში.

ბედნიერია ის საზოგადოება, რომელშიაც თითოეული წევრი სცხოვრებს თავის შრომითა და ჯაფით, სადაც თითოეული ყველაზედ და ყველა თითოეულზედ ზრუნავს ერთნაირის ბეჯითობით და ერთგუ-

ლებით. მიიღეთ სახეში, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება უმეტესად მოკლებულია ამ ბედნიერებას. ჩვენში, საუბედურად, თითოეული ცდილობს იცხოვროს სხვის ხარჯზე, სხვისი ჯაფითა და ნაოფლით; ესრეთი დამღუპველი წესი ჩვენის ცხოვრებისა გვიქადის ჩვენ დაღუპვასა და შეადგენს უმთავრეს მიზეზს ყოველ ბოროტებათა ჩვენ საზოგადოებრივს ცხოვრებაში. ეს ახალი წელიწადი ნეტა მაინც ჩაგვაგდებდეს გონში და დაგვაფიქრებდეს, გვაქვს თუ არა ნება ესრედ ვექცეოდეთ ჩვენს მოყვასს და სასარგებლოა თუ არა ესრეთი ჩვენი მოქმედება თვით ჩვენი არსებობისათვის? გარდავწყვეტოთ თვითეულმა რა უფრო გამოსადეგია ჩვენი მოქმედების მიზნად დავიდოთ--საზოგადო კეთილ-დღეობა, თუ პირადი ინტერესი. სადაც კი განათლების სხივი ჩავარდნილა საზოგადოებაში, ყოველგან უეჭველად სწამთ და აღვიარებენ, რომ საზოგადო კეთილ-დღეობას უნდა მიეცეს უპირატესობა პირად სარგებლობასთან; მაშასადამე ეს კითხვა ჩვენამდი გარდაწყვეტილი და აღსნილი ყოფილა,—ჩვენ მხოლოდ გვრჩება მივყვეთ განათლებული კაცების მაგალითს და ჩვენ მოქმედებას წაუმძღვაროთ წინ საზოგადო კეთილ-დღეობა და არა ვიწრო პირადი სარგებლობა; ხელ-ახლ-ახლა მივყოთ ხელი თავისთავის გადაკეთებას ძირეულად და შევსცვალოთ ჩვენი შემცდარი შეხედულებანი და მოქმედებანი ცხოვრებაში.

რამოდენიმე სიტყვა წარსული ძველი წლის შესახებ. ზოგიერთნი წელნი მათში მომხდარის ამბების მეოხებით საუკუნო კვალს სტოვებენ ხალხის მეხსიერებაში და თავათაც უკვდავდებიან. ჩვენი ქვეყნის ესრეთ წელთა რიცხვში შეგვიძლია შევიტანოთ ეს წარსული 1888 წელიც, რომელიც აღიბეჭდა ერთი დიდის მოვლინებით ჩვენის მხარისათვის ჩვენ მოგახსენებთ ამ წელში კავკასიაში მობრძანებაზედ ხელმწიფე იმპერატორისა თავის უავგუსტოესის სახლეულობითთურთ. ამ ძვირფას სტუმართა წვევამ უმაღლეს წერტილამდი გამოაფხიზლა, განაახლა და გააცოცხლა ყოველი მკვიდრი კავკასიისა. ჩვენი მხარე ეხლა აღარ არის ჩასათველელი იმ «დამღუპველ კავკასიად», რომლისაც ჟამიერთ ეშინოდათ დღემდი. ხელმწიფის მობრძანებამ კავკასიაში თითოეული ქართველი გაუთანაბრა და გაუთანასწორა, როგორც შამულის შვილი, რუსეთის სახელმწიფოის ყოველს მკვიდრს შვილს. ჩვენ ამ ბედნიერი დღიდგან ყველა უფრო ცხოველად და ნათლად ვგრძნობთ მამობრივს მზრუნველობას ჩვენზედ ჩვენი მწყალობელი ხელმწიფისას. ხელმწიფის ჩვენთან მობრძანებამ ჩვენ გვიჩვენა მიზანი სიცოცხლისა, დაგვისახა იდეალი მოქმედებისა და გზა ამ იდეალისადმი მისწრაფებისა. ამ დროიდამ ჩვენ ცხოვრებას მიეცა აზრი და საგანი. აი როგორ განახლებული და ბედ-გამოცვლილი გადმოგეცა ჩვენ ძველმა წელმა ახალს წელს. ჩვენს აქამომდე შეჩერებულს, უფერულს და დაზანტებულს სიცოცხლეს ამ ბედნიერმა მოვლენამ ჩაუდგა ახალი სული და ძალა წინ სასვლელად განვითარების გზაზედ. ხოლო ეხლა ყოველივე ჩვენზედაა დამოკიდებული: ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ ამ ახალი ჩადგმული სულით და გამოვიჩინოთ ჭეშმარიტი მამულისშვილობა, ნიჭი თვითმყოფელი, გონიერი ცხოვრებისა, ან არადა უგრძნობლად განვაგდოთ თავისაგან ეს სული, ეს ძალა და ხელ-ახლა მივსცეთ თავი ჩვეულებრივს საგათას ძილსა. ამ ორში რომელს ამოვირჩევთ—ამას გარდასწყვეტს აი ეს აწ მდგომარე ახალი 1889 წელი და შემდეგნი დრონი.

დეკ. დავ. ლამბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი შეცდომილებანი, რომელნიც გვაშინებენ ჩვენ ჩვენ სამწყსოთა და ჰბადავენ მათ გულში დაუნდობლობას ჩვენდამი. *)

ბევრი ჩვენნი თანამოძმენი მალე ნიშნავენ თავიანთ შეცდომილებათა ცუდს და მავნებელ შედეგებს და ცდილობენ, რომ შემდეგში აღარ ჩაიდინონ ამ გვარი რამე. ასეთნი მწყემსნი, რასაკვირველია, ხელახლად მოიპოვებენ ხოლმე სამწყსოის სიყვარულს და პატივისცემას. ზოგი მწყემსნი კი, ნაცვლად თავიანთ შეცდომილებათა გასწორებისა, უფრო ცუდად იქცევიან და მთლად ჰკარგავენ ხალხში გავლენას.

ზემოთ აღნიშნულნი შეცდომილებანი ზოგიერთ ჩვენ თანამოძმეთა ისეთები არიან, რომ იგინი არავის ინტერესებს არ შეეხებიან და არც არავის ზარალს აძლევენ ნივთიერად; მაგრამ არიან ისეთი შეცდომილებანიც ზოგიერთ მწყემსთა, რომელნიც ნივთიერად საზარალონი არიან კერძოდ სამწყსოის რომელიმე წევრისათვის. იმ მღვდელს, რომელიც ასეთ მოქმედებათა სჩადის, სამწყსო ცუდის თვალით უცქერის, პატივს არა სცემს მასს და მზად არის თავის სულიერ მოძღვარს სამაგიერო გადაუხადოს საქმით. ხშირად მღვდლის მოქმედება, რომელიმე პირის საზარალოდ ჩადენილი, მთელს სამწყსოს გულს უკრავს მწყემსზე და იგი მზათ არის თავისი მღვდელი თავიდამ მოიშოროს. ხშირად გლეხი არ უსრულებს მღვდელს რაიმე თხოვნას; გლეხისაგან უარის თქმა, რასაკვირველია, არ ესიამოვნება მღვდელს, მაგრამ მან ამისათვის სამაგიერო არ უნდა გადაუხადოს გლეხს. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრნი ისეთნი მწყემსნიც მოიპოვებიან ჩვენში, რომელნიც ძვირად უჯენენ ხოლმე საწყალს გლეხს მის უარის თქმას და მწყემსთ ხომ ბევრი საშუალება აქვსთ, რომ სამაგიერო გადაუხადონ დამნაშავეთა. როგორ იქმნება, რომ მღვდლის გამჯავრებელ გლეხს როდისმე რაიმე მღვდელ-მოქმედება არ დასჭირდეს: ან ნათვლა, ან მიცვალებულის დასაფლავება და ან საქორწილო არავინ ეყოლოს მას სახლში. ამ საჭიროების დროს გლეხი მორიდებით მიდის მოძღვართან და სთხოვს მას საჭირო მღვდელ-მოქმედების შესრულებას. მღვდელი კი გაჯავრებით უცქერის გლეხს და გულ-ციცვათ ისმენს მის თხოვნას. იგი გაახსენებს გლეხს მის დამნაშაობას და მასთან ისეთ მიზეზებს უძებნის, რომლებსაც იგი ყურადღებასაც არ მიაქცევდა, რომ გლეხზე გაჯავრებული არ ყოფილიყო. მსთქვათ გლეხმა სთხოვა მღვდელს ყმაწვილის მონათვლა, მღვდელი ან უარს ეუბნება მას, ვითომ და დროის უმექონელობისა გამო (თუ მოსანათლავი ავად-მყოფი არ არის) ან უცხადებს, რომ მიმრქმელებმა უსათუოდ მრწამსი უნდა იცოდენო; თუ ჯვარ-საწერი ჰყავს ვინმე გლეხს, მაშინ მღვდელი თხოულობს, რომ სასიძომ და სასძლომ უსათუოდ უმთავრესი ლოცვები იცოდნენ ზეპირად. საწყალი გლეხი გრძნობს, რომ დამნაშავეა თავის სულიერი მოძღვრის წინაშე და ამიტომ სთხოვს მას მოტევებას. გლეხი ხედავს, რომ მღვდლის მოთხოვნილება კანონიერია, მაგრამ ისიც კარგად იცის მან, რომ მღვდელი ამ მიზეზებს არ გამოეკიდებოდა, თუ ის გაჯავრებული არ იყოს მასზე. გლეხი იძულებული ხდება მომეტებული სასყიდელი მისცეს მღვდელს, რომ შინ მომზადებული ხორაგი არ გაუფუჭდეს უბრალოდ. მღვდელი ისრულებს თავის გულის წადილს, უსრულებს გლეხს საჭირო მღვდელ-მოქმედებას. ზოგიერთი მწყემსნი, როცა მათ ჯვარის საწერს ცოტას აძლევენ, ჯვარის წერაზე უარს აცხადებენ, რადგან მათ სამგზითი გამოცხადება არ მოუხდენიათ ეკკლესიაში სახალხოდ, მაგრამ საფასის მომატება აქაც დავიწყებას აძლევს ამ კანონიერ მოთხოვნილებას. ასეთი სამწუხარო და ჩვენ თანამოძმეთა დამამცირებელი ფაქტები ბევრია დღეს ჩვენში. კარგი, ვსთქვათ, მღვდელმა მის გამჯავრებელ გლეხს მეტი გამოართვა და თხოვნაც შეუსრულა. მაგრამ განა ამ მეტი საფასის გადახდევინებით შერიგდებიან ერთმანეთში მღვდელი და გლეხი? სრულიადაც არა. გლეხი მართალია მეტს აძლევს მღვდელს და ისე ასრულებინებს საჭირო მღვდელ-მოქმედებას, მაგრამ ამავე დროს მღვდლის ჯავრს გულში იმალავს და ცდილობს ერთი ორად გადაუხადოს მღვდელს სამაგიერო. ეს ჯავრი გლეხის გულში თან-და-თან ბატულობს. ამ გვარად, ვსთქვათ, წელს მღვდელმა აწყენინა ხუთ გლეხს, მეორე წელში კიდევ ხუთს და შემდეგ სხვათა. ამ გაჯავრებულ გლეხებს, რასაკვირველია, ჰყავთ ნათესავები და ნაც-

*) ის. «მწყემსი»-ს № 24.

ნობები, რომელნიც პირველთაგან ტყობილობენ მღვდლის საქციელს და მათშიაც იბადება უკმაყოფილება მღვდლისადმი, თუმცა მას ამ უკანასკნელებისათვის პირადად არასფერი არ დაუშავებია. მღვდლის მოწინააღმდეგეთა დასი სამწყსოში თან-და-თან მატულობს. ხშირად მთელი სამწყსო უჩივა მღვდელს, რომელიც იძულებული ხდება სხვა სამრეველოში გადავიდეს. ასეთნი მწყემსნი თავის გასამართლებლად ამბობენ ხოლმე: «ჩვენს მოვალეობას მტკიცედ ვასრულებდით და ამიტომაც აგვრჩიელდა სამწყსო».

ბევრი სხვა მიზეზებიც არიან კიდევ, რომელთა გამო ზოგიერთი ჩვენი თანამოძმენი სამწყსოის თვალში ჰკარგავენ ყოველივე გავლენას და ძალას, მაგრამ ყველა ამ მიზეზთა ჩამოთვლა უადგილოდ მიგვაჩნია. საჭიროა, რომ თვით ჩვენ, მწყემსთა, ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ ამ მიზეზებს და მოვსპოთ ჩვენში ყოველივე ცუდი მოქმედებანი.

ძლიერ სცდებიან ის მწყემსნი, რომელნიც ამბობენ: «გლეხებს ის მღვდლები უფრო მოსწონთ, რომელნიც მათთან დროებას ატარებენ და ყველა მათ ნაკლულევანებათა შეუნიშნავად სტოვებენ». ზოგიერთებს, მართალია, მოსწონთ, როცა სულიერი მათი მოძღვარი მათთან ერთად დროებას ატარებს და ქეიფობის, მაგრამ ამავე დროს მღვდლის მნიშვნელობა და გავლენა მისი სამწყსოის უმეტესი ნაწილის თვალში მცირდება.

ჩვენ, მწყემსთა, მკაცრი ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს დიდს მნიშვნელობას; ნიადაგ უნდა ვეფიქრობდეთ, რომ ჩვენი თავი დავიჭიროთ სამწყსოის წინაშე რიგიანად და, მაცხოვრის სიტყვისაებრ, ვიყვნეთ ბრძენ და უმანკო; ვიყვნეთ კეთილი მაგალითი სამწყსოისათვის. ამისთანა მოქცევა მწყემსთა, თუ ოდესმე იყო საჭირო, უმეტესად იგი საჭიროა დღეს, როდესაც კეთილ-ზნეობა და სარწმუნოება სუსტდება და უზნეობა მაგრად იდგამს ფესვს ხალხში.

რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენს მხარეში სწავლა-განათლების საქმე?

ჩვენს სასწავლებლებში შედიან ყმაწვილები სხვა-და-სხვა ოჯახებიდამ, რომლებიც დიდად განირჩევიან ერთი ერთმანეთისაგან როგორც წოდებით და შეძლებით, ისე განათლებით. ამიტომ ჩვენი სასწავლებლების მოწაფენი ძალიან განსხვავდებიან ერთი-ერთმანეთისაგან ზნით, ჩვეულებით, მიდრეკილებით, თვით ბუნებით და ხასიათით. თვით წყნარს, კეთილ-ზნეობრივად აღზრდილს ყმაწვილს, რომელიც თავის უფროსის და მასწავლებლის მცირეოდენ შენიშვნაზე ფერს ჰკარგავს, შიშისაგან ჰკანკალებს და სირცხვილით იწვება, როცა მის ყურს ესმის რაიმე ლანძღვა-გინება და უმართებულო სიტყვები,—გვერდით ამოსდგომიან უსირცხვილო და ზნეობით გაფუჭებული ბავშვები, რომელნიც ყოველს ნაბიჯზე საზიზღარ ყოფაქცევას იჩენენ და პირიდგან ისვრიან უშვერ სიტყვებს და მასთან სრულიად არ ეპუებიან არა თუ მკაცრ სიტყვებს, შენიშვნას და საყვედურს თავიანთი მასწავლებლებისას და უმფროსებისას, არამედ თვით სასტიკ დასჯათაც, რომელნიც დღეს ნებადართულია პედაგოგიის მიერ. რაღა თქმა უნდა, რომ ეს უკანასკნელნი ნელ-ნელა მოქმედებენ პირველებზე და ბოლოს თითქმის მთელი სასწავლებლის მოსწავლეთა ახალგაზდობა ზნეობით ფუჭდება და იხრწნება.

ეს სამწუხარო მოვლენა ჩვენი მოზარდი ბავშვების ცხოვრებაში იმდენად გამწვავდა ამ ბოლოს დროს, რომ მას უკვე მიაქციეს ყურადღება როგორც სასწავლებლების მთავრობათა, ისე მოსწავლე ბავშვების მშობლებმა და იგი შეიქმნა დღეს საბჭო და სადაო საგნად. ამ სადაო საგნის შესახებ სულ სხვა-და-სხვა მოსაზრება ტრიალებს ჩვენს საზოგადოებაში. თითოეული წევრი ჩვენი საზოგადოებისა ჩვენს სასწავლებლებში მოზარდ ყმაწვილების ზნეობითად გახრწნილების მიზეზად სულ სხვა-და-სხვა მიზეზებს ასახელებენ. ერთი ჩვენი სასწავლებლის დარბაზში, საცა შეკრებილნი იყვნენ სასწავლებლის მასწავლებელნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოსწავლეთა მშობელნი სხვა-და-სხვა ზომათა გამონახვისათვის, აღმოჩნდა ერთი ისეთი პირი (ეს პირი თავადთაგანია და უმაღლეს სასწავლებელშიაც აქვს სწავლა დამთავრებული), რომელმაც ის აზრი წარმოსთქვა, რომ ჩვენი სასწავლებლების მოსწავლეთა ზნეობითად გახრწნის და გაფუჭების მიზეზი ვითომ დაბალი წოდების შვილები იყვნენ, რომლებიც გვერდზე უსხედან ჩვენი თავად-აზნაურობის ფაქიზად და ნაზად აღზრდილ ყმაწვილებსო. ბარაქალა ამ ვაჟბატონის გამჭრიახობას, რომ ქოლუმბს არა, ამერიკა უთუოდ ამ მეცნიერს ხედებოდა აღმოსაჩენად! რამოდენი თავმოყვარეობა და თავის ქებაა ამ თავადისაგან გამოთქმულ საოცარს აზრში! ბვიბრძანეთ, თავადო, ღვთის გულისათვის, სად უფრო წმიდათ და შეუბღალავად დაცულია დღეს ზნეობა, თავად-აზნაურობაში, თუ გლეხთა და უბრალო ხალხთა შორის? სად უფრო სათუთდებიან და აკვნიდკანვე ეჩვევიან სანაზეს, სიზარმაცეს, ურჩობას, ჯიუტობას, ავ-ენობას, ჩხუბს და სხვა ბიწიერებათა ჩვენი ბავშვები, თავად-აზნაურობის ოჯახებში, თუ გლეხის სახლებში? ამ კითხვებზე პასუხის მიგება თვით მკითხველებისათვის მიგვინდია. ჩვენ, რასაკვირველია, სახეში გვქავს დღევანდელი ჩვენი ქართველი თავად-აზნაურობა, რომელმაც დიდი ხანია, რაც თავიანთ მაღალ ზნეობიან წინაპართ წმინდა ანდერძს ულალატა. ესენი სულ სხვა შეხედულობის კაცები იყვნენ და სხვა ყოფა-ქცევასაც ადგნენ ცხოვრებაში.

ძალიან შემცდარნი ბრძანდებიან ისინი, რომელნიც ფიქრობენ, რომ ჩვენ სასწავლებლებში მაღალი წოდების ყმაწვილები ვითომ დაბალი წოდების ყმაწვილების ზედ გავლენით ფუჭდებოდენ ზნეობითად. დღეს ხშირად ვხედავთ, რომ ცუდი აღზრდის ნიშნები უფრო თავად-აზნაურობის მოზარდ ყმაწვილებს ამჩნევიათ, ვინემ გლეხებისას.

ესრეთი არეულობა სხვა-და-სხვა ზნეთა და ჩვეულებათა მექონ მოსწავლეთა ერთსა და იგივე სასწავლებელში ძალიან აბრკოლებს ჩვენი შვილების სწავლა-აღზრდის საქმეს. ამ ნაირი ცუდი ზნის და ჩვეულების მექონე ამხანაგების გავლენის ბეჭედი თვით დაბალ კლასებშიგე ემჩნევათ ჩვენს ბავშვებს. ყმაწვილმა დაჰყო სასწავლებელში ერთი ან ორი წელიწადი და მშობლები ველარც კი სცნობენ მასში თავის უწინდელს წყნარს, მორცხვს და გამგონე შვილს. მშობლები გაკვირვებულნი არიან და ვერ აუხსნიათ, თუ ასე მალე სად დაჰკარგა ყმაწვილმა თავისი უწინდელი მშვენიერი თვისებანი? ნუ თუ სასწავლებელმა გადაჰქმნა ის ასე სამწუხაროდ? ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი ჩვენ უნდა ვეძიოთ თვით ცუდი ამხანაგების გავლენაში, რომელნიც ბლომად მოიპოვებიან როგორც თავად-აზნაურთა შვილებში, ისე გლეხებისაში. ცუდი ამხანაგების ზედ გავლენას კიდევ ის უფრო უწყობს ხელს, რომ თავის მშობლების სახლს სტოვებენ ჯერ კიდევ მეტად ნორჩი ყმაწვილები, რომელნიც საკმაოდ არ არიან გამაგრებულნი ფიზიკურად და ზნეობით. ეი სწორედ აქ უნდა ვეძიოთ ერთი იმ მიზეზთაგანი, რომელთაც მეოხებით ოცს ყმაწვილში მხოლოდ ერთი ითავებს ჩვენს სასწავლებლებში სწავლას და მოსწავლეთა რიცხვიც ზემო კლასებში თან-და-თან კლებულობს. სასწავლებლებიდამ გამორიცხულნი ყმაწვილები, რომელთაც ვერც სწავლა შეიძინეს და შინაურ საოჯახო საქმეებსაც ასცდენ, ხდებიან ჩვენი უიმისოდაც ზნეობითად დაუძლურებული საზოგადოების უარგის და მავნებელ წევრებად.

«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია საჩხერიდგან.

ამ ორიოდე წლის წინათ დაბა საჩხერეში ეკლესიის აღშენებასა და ორ კლასიანი სკოლის დაარსებაზედ ცოტას მაინც ფიქრობდა აქაური საზოგადოება და ადგილობითი მართებლობა, მაგრამ დღეს კრინტსაც ალარავინა სძრაეს ამ საქმის შესახებ! ეს გასაკვირველიც არ არის: საჩხერეში ყოველი კეთილი საქმის დამწყები და საქმის მოთავე დასაწყისშივე დამარცხდება, რადგანაც თანამგრძნობლებზედ მომეტებული წინააღმდეგნი აღმოუჩნდება. ამიტომაც არის, რომ აქამომდე საჩხერეში არც სკოლაა და არც ეკლესია. დღეს ჩვენა გესურს ორიოდე სიტყვა მოუთხრათ «მწყემსი»-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველებს დაბა საჩხერეში დაარსებულ საავათ-მყოფოზე (пріемный покой). ექიმი და საავად-მყოფო სახლი იმისთანა მიყრუებული და მჭიდროთ დასახლებული ადგილისათვის, როგორიც არის საჩხერის მხარე, მეტად დიდ ბედნიერებას შეადგენს. 1883 წელში აქ გაიხსნა საავათ-მყოფო სახლი; დაინიშნა მთავრობისაგან ერთი ექიმი, ორი ფერშალი და ერთი ბებია ქალი. ექიმათ დაინიშნა მოსკოვის უნივერსიტეტში კურს დამთავრებული ახალ-გაზდა კაცი, ივანე ივანეს ძე ზუბრილინი, კარგად მცოდნე თავის ხელობისა, მაგრამ საქმის დაუდევარი, რისა გამო მან ვერ დაიმსახურა აქაური ხალხის სიყვარული. მისი ექიმობის დროს ოთხი წლის განმავლობაში მარტო ცხრაასი (900) კაცი მისულა საავათ-მყოფოში შემწეობის მისაღებად. ბ. ზუბრილინმა არ იცოდა ქართული ენა და ამიტომ ავათმყოფის პატრონს ვერას აგებინებდა და არც ავათ-მყოფობას უკვირდებოდა ხეირიანად. აი ერთი ამის მაგალითი: ერთს აზნაურს, გვარათ იაშვილს, გაუხდა ცოლი ავათ; აზნაურმა მოიყვანა ხსენებული ექიმი, რომელმაც დაამტკიცა, რომ ქალი მუცლის სისივნით არის ავათო, მაგრამ ქალი ორსული გამოდგა და ამის შემდეგ არ გასულა ოთხი-ხუთი დღე და ქალს ვაჟი დაებადა. ამისთანა და ამის მზგავსი მაგალითების შემხედვარე ხალხმა გული აიცრუა ექიმზე და ისევ თავის მკითხავებს მიმართა.

1888 ზუბრილინი გადიაყვანეს სტავროპოლში და მის ადგილზედ გადმოიყვანეს ექიმად იმავე სტავროპოლიდამ იმავე ზუბრილინის ამხანაგეი გრიგოლ ლავრენტის ძე ელიავა. მოვიდა თუ არა საჩხერეში, ბატონი ელიავა მტკიცედ და ენერგიულად შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას; ბატონს ელიავას ისე მიაწყდა ავათ-მყოფები, როგორც თაფლს ფუტკარი; კუნტი, ბრმა, ქარებით, ღურბლით, კუჭის სნეულებით და სხვა-და-სხვა სენით შეპყრობილნი და დაუძლურებულნი გარს ახვევიან ბატონ ელიავას ყოველ დღეს. თითქმის ყოველ დღეს საავათ-მყოფოს წინ სდგას 60-100 ავათ-მყოფი, რომელთა უმეტესი ნაწილი ურმებით მოუყვანიათ თვით შორეული სოფლებიდან. ექიმი ყოველ დღეს დაკაპიწებული სდგას საავათ-მყოფოში დილის ცხრა საათიდამ ნაშუადღევის სამ საათამდე და შეელის ავათ-მყოფთა. როგორც საავათ-მყოფოს წიგნიდამ სჩანს, ამა წლის მარტის თვიდამ დღემდის 3000 ავათ-მყოფს მიუღია შემწეობა ბ. ელიავასაგან, რომელთა უმეტესი ნაწილი მთლად განთავისუფლებულა სენისაგან. ბატონმა ელიავამ მიიზიდა სნეულთა გული თავის საქმის კარგად ცოდნით, ხასიათით, უანგარობით და თავის საქმის მუყაითი ასრულებით. ვერ წარმოიდგენს კაცი, თუ რა ნაირის ბეჯითობით და სიფრთხილით სინჯავს ხოლმე ავათ-მყოფს ბ. ელიავა და რა ტკბილად ეკითხება სნეულს ავათ-მყოფობაზედ. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ბატონი ელიავა უსასყიდლოთ ექიმობს თავადს, აზნაურს, მღვდელს, ერს, დიდს და პატარას, ვინც კი მიდის მასთან საავათ-მყოფოში.

რა სნეულება უფრო ხშირია აქეთ? ამაზე იგივე ბ. ელიავა გვაძლევს პასუხს: ჩვენში უმეტესად კუჭის ავათ-მყოფობით ყოფილან ავათ, რომელიც უმეტესად წარმოსდგება უზომო სმისა და ჭამისაგანო. აქაური ერთი თავადი, აზნაური და გლეხი რომ ღვინოს დალევს და ხორაგს მიირთმევს, იმდენს ხუთი მეგრელი და გურული ვერ გიახლებათ. მეტი სმით და ჭამით ზოგიერთი აქაურები დიდათ მოაქვსთ თავი და ბედნიერათ სთვლიან თავის-თავს. ბატონი ელიავას ასეთმა მოქმედებამ სახელი გაუტეხა და ფასი დაუკარგა სოფლის ბებრუხანა მკითხავებს და მატყუარა ექიმებს. თითქმის აღარავინ მიდის მკითხავებთან. ზოგიერთები ამტყუნებენ ჩვენებს, რომ იგინი უფრო სოფლის მატყუარა მკითხავებს ეტანებიან, ვინემ ექიმებსო. მაგრამ ეს სიცრუეა. იმ ექიმსს, რომელმაც კარგად იცის თავის ხელობა და მასთან ხალხსაც სინდისიერად ეკიდება და ფეხის ქირასაც ზომიერს ართმევს, ხალხი თავის დღეში არ მოერიდება და მკითხავს არ მიაშურებს.

ვისურვებთ, რომ ყველა ექიმები ისე ენერგიულათ ეკიდებოდენ თავიანთ მოვალეობას, როგორც ექიმი ბ. ელიავა.

მღვ. ი. წერეთელი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ჩვენს საქართველოში დღეს ბევრი ისეთი ტაძრები მოიპოვებიან, რომელნიც აშენებულნი და შემკულნი არიან ჩვენ მამა-პაპათაგან, რომელნიც თავიანთ სულიერ მოძღვართა მოწოდებაზე მზად იყვნენ თავიანთი სიმდიდრე შეეწირათ ეკკლესიების და მონასტრების შესამკობად. მაშინდელ დროში ყოველივე ეს ადვილი საქმე [illegible]იან მწყემსთა და სამწყსოთა შორის მშ[illegible] განწყობილება სუფევდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ დროებში ჩვენს ხალხს გული აუცრუებია ეკლესიების და მონასტრების შენებაზე და მათ შემკობაზე და ღღეს დიდი ჯაფა და ხვეწნა სჭირდება კაცს, რომ თავის ეკლესიის გასამშვენებლად ორიოდე გროში გამოიღოს. მაგრამ ამ სამწუხარო მოვლენაში, ეგონებ, უფრო დამნაშავე იყვნენ ჩვენი თანამოძმენი. ჩვენ არა გვჯერა, რომ სამწყსომ თავის წილილი არ შესწიროს თავის ეკლესიის შესამკობად, თუ ამას მოინდომებს მწყემსი, რომელსაც მამაშვილური განწყობილება აქვს სამწყსოსთან და თვითონაც გულითა სურს ეკლესიის შემკობა. აი ამის მაგალითი: ურიათუბნის სამრეველოში მე დავაარსე სამრეველო სკოლა, რომლის საქმეში დიდი დახმარება აღმომიჩინეს თავად ჭავჭავაძეებმა.

სამრეველო ეკლესიაც მეტად ღარიბი იყო. მასში არ იყო არც ხეირიანი შესამოსელი მღვდლისათვის, არც საჭირო საეკლესიო წიგნები და სხვ. მე რამდენიმე გზის ვსთხოვე ჩემს სამწყსოს ეკლესიის გამშვენება და საჭირო ნივთების ყიდვა. ჩემდა სასიხარულოდ, ჩემს თხოვნას უსარგებლოდ არ ჩაუვლია. აღმოჩნდენ პატიოსანი პირნი, რომელთაც ეკლესიას შემოსწირეს საჭირო ნივთები. ამ პირთ ეკუთვნიან: გენერალ-მაიორი ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძე, რომელმაც შემოსწირა ეკლესიას ერთი ხელი მშვენიერი სამღვდელო შესამოსელი, დიდი შანდლები, სამი ზარჯ; ამათში ერთი 16 ფუთიანია. მეორე 2 ფ. 37 გირ. და მესამე ფუთ-ნახევარი. ყველა ეს შემოწირულებანი ღირან სამოც-და-ხუთი თუმანი; თავადმა ნიკოლოზ ბულბათის ძემ ჭავჭავაძემ შემოსწირა ეკლესიის სასარგებლოდ ოცი მანეთი ფული. ამასთან ეს პატიოსანი პირნი მპირდებიან დიდ შემწეობას როგორც სკოლის შესახებ, ისე ეკლესიისათვის, რაისათვისაც გულითად მადლობას უძღვნი ამ პატიოსან პირთ გაზეთ «მწყემსი»-ს საშუალებით. აგრეთვე იმედი მაქვს თავად ჭავჭავაძეებისაც, რომელთაც მამულები აქვსთ სოფელს ურიათუბანში.

ურიათუბნის მღვ. იროდიონ ჩეკურიანი.

[illegible]

ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენ გვატყობინებენ, რომ თბილისის ვერის იოანნე ღვთის-მეტყველის ეკლესიის სამზრუნველოის თხოვნით მისი მალალ ყოვ. უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი პალლადი ამ ეკლესიის მღვდლის თავისუფალ ადგილზე იწვევს სასულიერო აკადემიაში სწავლა დამთავრებულ პირსო. ამ ეკლესიის სამწყოსს განუზრახავს, რომ ეს ტაძარი განაახლონ, აღაშენონ მასთან თავშესაფარი სახლი და ტაძარს გარს შემოაველონ გალავანი და შიგ გააშენონ ბაღი.

***

24 დეკემბერს, შობის წინა ღღეს, ჩვენს მართლმადიდებელს ეკლესიას შემოუერთდა ქალაქ ალექსანდრეპოლის ერთი პატიეცემული და გავლენიანი მოქალაქე ალექსანდრე იაკობის ძე ბაბაევი, რომელიც ღღემდე სომხის გრიგორიანის აღსარებისა ყოფილა. ამ ბაბაევს მთელი თავის სახლობისათვის უთხოვნია, რომ მათაც მიბაძონ მის მაგალითს. ბ. ბაბაევს დიდი შემწეობა აღმოუჩენია რუსეთის ჯარებისათვის ოსმალეთთან უკანასკნელი ჩხუბის დროს. იგი მეტად გავლენიანი პირია თურმე მთელს ყარსის სათემოში და ამიტომ ამისთანა გავლენიანი პირის შემოერთება ჩვენ ეკლესიასთან მეტად სასიხარულოა, რადგან ბაბაევის მაგალითს მიმბაძველნი აღმოუჩნდებიან მის თანამოძმეთა შორის.

***

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ მოსკოვში გარდაიცვალა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგის შვილი-შვილი თავადი დავით ბაგრატის ძე ბრუზინსკი. ივლისის თვეში ჩვენ რამდენიმე გზის ვნახეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსვენებული. იგი ამ დროს ძლიერ ავათ იყო, და თუმცა თვითონ კი იმედობდა მორჩენას, მაგრამ ძლიერ საეჭვო იყო ჩვენთვის მისი მორჩენა. განსვენებულს ესთხოვეთ მისი წიგნთ-საცავის განხილვა და შესანიშნავი საისტორიო მასალით სარგებლობა. განსვენებულმა აღგვითქვა ყველა შესანიშნავი საისტორიო მასალის გამოგზავნა ჩვენს გამოცემაში დასაბეჭდათ, მაგრამ, საუბედუროდ აღარ დასცალდა ეს.

გაზეთ «ივერიაში» შემდეგი საინტერესო ცნობებია მოყვანილი განსვენებულის ანდერძის და წიგნთ-საცავის შესახებ: «განსვენებულს დარჩა ძვირფასი სურათები ჩვენი სამეფო გვარეულობის წარმომადგენელთა; ამ სურათებში ყურადღებას იპყრობს მშვენიერი ხელოვნურად დახატული სურათები მეფეთა თეიმურაზ მეორისა და ვახტანგ მეექვსისა. გარდა ამისა ჩვენ ვნახეთ აქ სურათები დარეჯან დედოფლისა, მარიამ დედოფლისა, გიორგი მეფისა და სხვათა. სურათები იმ ზომისაა, რა ზომისაც არის შოთა რუსთაველის სურათი, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას აქვს. ძვირფასი განძი იქნებოდა «საზოგადოების» წიგნთ-საცავისათვის ეს სურათები, რომელთაც სამი ოთახი უჭერია, და აგრეთვე ის წიგნები, რომელნიც დასტოვა განსვენებულმა თავადმა. წიგნთ-საცავი უკვე გადატანილია იმის მემკვიდრეების სახლში და ამიტომ ვერ მოგვიხდა ჯერ-ჯერობით იმისი გადათვალიერება.

ოქრი ძვირფასი ხატი, განსვენებულის სურვილისამებრ, უკვე იგზავნება თბილისში ექსარხოსთან საეკკლესიო მუზეუმისათვის. ეს ხატები ერთი ღვთისმშობლისაა და მეორე მაცხოვრისა. ღვთის-მშობლის ხატზედ წავიკითხე შემდეგი ზედ-წარწერა: «ქ. ფლორი ესე ჰფარებია სახესა ღვთისა დედისასა დიდს ხუთშაბათს და დიდს პარასკევს * სახე ესე დგას სახლსა მას შინა ღვთისასა დედისასა * რომელსაცა შინა ახარა ანგელოსმან * რომლისათჳისაც ამბობენ ლათინნი * ეითომ სახლი ესე მოეღოსთ ანგელოსთა * ქალაქსა შინა ლორენტსა და ბეჭედიცა მუნებური არს.

საქართველოს მეფის 13 გიორგის ძემან ბაგრატ შევამკე. ხატი ესე * სულისა ჩემისა საოხად და მეუღლისა ჩემისა ჩოლოყაევისა ასულისა ეკატერინისსა და შვილთა ჩემთა საფარველად * მრჩობლსავე ცხოვრებასა შინა ჩვენსა *.

მოსკოვს მაისისა * 25 * * 1804 წელსა *». მაცხოვრის ხატზე ეს წარწერაა: «ქ. ჰოი მაღალო მფარველო, მექმენ მე მონასა ბაგრატ ძეთა და ასულთ მოსკოვს 1804 წ. იანვრის 5».

განსვენებულის თავადის სახლში დარჩა კიდევ ერთი ლახვარი, რომელიც თბილისში არ იგზავნება. ლახვარზე შემდეგი წარწერაა: «ოი ძეო ღვთისაო, რომელიცა განიგმირე გვერდსა წმინდისა ლახვრითა, შენ დამიცევ ყოვლისა განსაცდელისაგან და სნეულებისაგან ჩემის ცოლ-შვილით». ბოლოში ამოვიკითხე: «მეფის გიორგის ძე ბაგრატი». თუმცა წიგნთ-საცავი აღარ დამხვდა განსვენებულის თავადის სახლში, მაინც რამდენიმე საეკკლესიო წიგნი, რომელიც ვნახე, საყურადღებოა ხელოვნების მხრით. ამ გვარია, მაგალითად, ტყავზე ხელთ-ნაწერები მეტად წვრილის ასოებით სახარება და პარაკლიტონი(?) სურათებით შემკობილნი. წაკითხვა მათი შეიძლება მხოლოდ «ლუპით»—ასოს განმადიდებელი შუშით.

***

სამღვდელოების კრებებმა დიდი სამსახური გაუწია ყველა სასულიერო სასწავლებლებს. ამ კრებათა წყალობით ყოველ წლობით რამოდენიმე მილლიონი მანეთი იხარჯება სამღვდელოებისა ამ სასწავლებლებზე, რომელთა რიცხვი ამის გამო დღითი-დღე მატულობს. სამღვდელოებათა კრებების მეცადინეობით მოისპო სასულიერო სასწავლებლებში უკიდურესი სიღარიბე და მოემატა მასწავლებლებს ჯამაგირები. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ამ ბოლოს დროს ზოგიერთ ადგილას რაღაცა ცუდის თვალით უყურებენ სამღვდელოების კრებებს და, დახმარების მაგიერ, უნდათ შეასუსტონ, ან მთლად მოსპონ იგინი. ეი რას

ეკითხულობთ გაზეთ «День»-ში სამღვდელოების კრებების შესახებ: «ჩერნიგოვის ეპისკოპოსმა შემდეგი მიწერილობა გაუგზავნა სასულიერო კონსისტორიას: ჩერნიგოვის ეპარქიაში დანიშნული რიცხვი სამღვდელოების დეპუტატებისა საზოგადო ეპარქიალურ კრებებზე დასასწრებლად, თითო საბლაღოჩინოდამ ერთისა, მიმაჩნია მოუხერხებლად და სამძიმოდ სამღვდელოებისათვის, რომელიც ამის გამო იძულებულია მიატოვოს ხოლმე რამოდენიმე ხნით თავის პირ-და-პირი მოვალეობანი, და ამიტომ, ვხელმძღვანელობ რა სასულიერო სემინარიის წესდების 93 §, გამოცემულის 1884 წელში, საჭიროდ ვრაცხ დავნიშნო მთელი ეპარქიის სამღვდელოებიდგან სულ 30 დეპუტატი, თითოეული მაზრიდგან ორ-ორი დეპუტატი».

***

პოლტავის ეპისკოპოს პოლტავის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების დეპუტატების ჟურნალზე, 15 ოქტომბერს დაუწერია შემდეგი განჩინება: «არაფერი საჭიროა, რომ თითოეული საბლაღოჩინოდამ გამოცხადდენ სამღვდელოების კრებაზე დეპუტატები,—ათი კაცი იმას გააკეთებს, რასაც ოცი; ამიტომ გამოეცხადოს ყველა სასულიერო სასწავლებლების ოლქის სამღვდელოებას, რომ შემდეგი დროისათვის კრებაზე გამოგზავნონ ხოლმე ორ-ორი დეპუტატი თითოეული მაზრიდამ, რომელთაც უნდა ირჩევდენ ხოლმე სამი წლით რიგ-რიგით მაზრის საბლაღოჩინოებიდგან».

არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ეს ყოველთვის ასე არ არის. ერთი ჭკუა კარგია, მაგრამ ორი კიდევ უკეთესია. ათ დეპუტატს მაშინ შეუძლია გააკეთოს ის, რასაც გაკეთებს შეუძლია ოცს, როცა ეს ათი დეპუტატი განათლებით და გამოცდილებით მჯობნებია მეორე ათეულს. ხშირად მთელი ოლქის სამღვდელოების დეპუტატებში ერთი ან ორი დეპუტატი თუ მოიპოვება ხეირიანი, რომელთაც შეუძლიათ წინამძღვრობა გაუწიონ სამღვდელოების კრებას, თორემ დანარჩენები სულ გამოუცდელნი არიან და კრების წარმოებისა არა გაეგებათ-რა.

***

სასიამოვნოდ მიგვაჩნია, რომ ჩვენი მართლმადიდებელი სამღვდელოება თავის-თავად ცდილობს, მოსპოს ზოგიერთი სამდურავები, რომლებიც ხშირად ისმის ხოლმე მღვდლებზე.

ამავე გაზეთში ეკითხულობთ, რომ რიაზანის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატებს ერთ თავის კრებაზე, წარსულს სექტემბრის თთვეში, დაუდგენიათ: «ჩვენ თვითონ ვეცადოთ და ძმურად ურჩიოთ ჩვენ თანამოძმეებს, რომ მათ ხშირად იქადაგონ ხოლმე და მაგალითი უჩვენონ ხალხს როგორც სიტყვით, ისე თავის მოქმედებით და ცხოვრებით და მოერიდონ ყოველივე იმას, რასაც შეცდომაში შეყავს ხალხი».

სწორეთ ასეთი მოქმედებით შეუძლია ჩვენს სამღვდელოებას სიყვარული და პატივისცემა მოიპოვოს ხალხის თვალში.

***

ამავე გაზეთში ეკითხულობთ ერთ საინტერესო მიწერ-მოწერას, რომელიც გამართულა ამას წინეთ ხერსონის და ოდესის არქიეპისკოპოსის ნიკანორის და სამხრეთ დასავლეთის რკინის გზების მმართველის ბ. ვიტტეს შორის კვირა-უქმ დღეებში რკინის გზის სადგურზე მუშაობის შესახებ. ბ. ვიტტეს უთხოვნია მღვდელთ-მთავრისათვის კვირა-უქმ დღეებში მუშაობის ნება-რთვა, მაგრამ არქიეპისკოპოსს ნიკანორს ამაზე უარი უყვია ვიტტესათვის და მის თხოვნაზე შემდეგი დაუწერია: «ბ. ვიტტეს სურს, რომ მართლმადიდებელი მღვდელთ-მთავარი მიიქცეს მართლმადიდებელი ხალხისადმი და უქადაგოს მათ, რომ მართლ-მადიდებლებმა კიდევ იმაზე უფრო ნაკლები პატივი სცენ კვირა-უქმ დღეებს, ვინემ დღეს სცემენ. ჩვენი ხალხი სულ სხვა სწავლა-დარიგებას საჭიროებს.

ბ. მიტლეს თავის წინადადებით შეუძლია მიიქცეს ურიების რაბინთადმი, რომ მათ შეაგონონ ურიებს, რათა მათ პატივი არა სცენ შაბათს და დღესასწაულებს. ებრაელები ნამდვილ წმინდათ ინახვენ თავიანთ დღესასწაულ დღეებს, რითაც იგინი კაი მაგალითს უჩვენებენ ქრისტიანებს, განსაკუთრებით მართლმადიდებელთ».

***

აგერ სამი თთვე იქნება, რაც ქუთაისში, ბალახოვანის ქუჩაზე სამების ეკკლესიასთან მღვდელმა მ. შაველაძემ გახსნა საეკკლესიო სკოლა მისი ყოვლად უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის ნებართვით. სკოლა მოთავსებულია ეკკლესიის გალავანში ორ-ოთახში.

სკოლა შესაფერად არის მორთული. სკოლაში დადის დღეს 40 მოწაფე. მ. შაველაძეს სკოლის მასწავლებლად მოწვეული ჰყავს ასათიანის ქალი, რომელსაც ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში აქვს სწავლა დამთავრებული. საღმრთო ისტორიას ასწავლის თვითონ მ. შაველაძე. იმედია, რომ საზოგადოება შემწეობას და დახმარებას აღმოუჩენს ამ სკოლას.

***

ახალ-ციხის მაზრიდამ ბ. მაქსიმე ბერიძე გვწერს შემდეგი: «ჩვენი ძველი დროის მონასტრებში შესანიშნავია აგრეთვე საფარის მონასტერი თავის ძველი ნაშთებით. ამ მონასტერს შემოვლებული აქვს გარშემო მშვენიერი გალავანი; გალავანს შიგნით არის გაშენებული მშვენიერი ვენახი და მრავალი ხეხილი. ბაღში ჩამოდის პატარა მდინარე. ამ მონასტრის გალავანის მახლობლად არის მშვენიერი ახალშენი ტყე, რომელიც ამავე მონასტერს ეკუთვნის. მაგრამ ამ სამის წლის წინად გამიჯვნის დროს ზოგიერთმა აქაურმა მებატონეებმა დავა გამოაცხადეს ამ ტყეზე, რაისა გამო შესდგა საქმე, რომელიც დღესაც არ არის გათავებული. 1886 წელში საქართველოის ეგზარხოსად ყოფილმა მთავარ-ეპისკოპოსმა პავლემ ნება მომცა მე დავბინავებულიყავი მონასტრის გალავანში და თვალ-ყური მედევნა მონასტრისათვის და მისი ლისა და ტყისათვის. მე ჩემს მოვალეობას დღემდე ჯეროვანად ვასრულებ. აქაური პოლიციის დახმარებით ყოველივე ღონეს ვხმარობ, რომ მონასტრის ტყე დავიცვა, მაგრამ მეტად მაწუხებენ ზემოთ აღნიშნულნი მებატონენი, რომელთაც სურსთ ხსენებული ტყის დასაკუთრება და მოჭრა. მე ჩემის ძალით მათი მოგერება არ შემიძლია. საჭიროა, რომ სასულიერო მთავრობამ მიაქციოს ყურადღება ამ საქმეს და მონასტერს არ დაუკარგოს ეს ტყე.

რედაქციის პასუხი.

ურიათ-უბანს. მ. ი. ჩ-ს. უფასოდ ხატს არავის გამოგიგზავნისთ და, თუ ფულს გამოგზავნით, მაშინ რამდენიც გნებავსთ, იმდენი მიიღებთ. ხატების ფასი 80 კ.—2 მანეთამდეა. თუ ფასი არ გაგიგზავნიათ, ტყუილად ნუ ელით.

ანდრია კობ—ძეს. თქვენი პასუხი არ დაიბეჭდება. პოლემიკის წერის დროს საჭირო ფაქტები და არა ის, თუ ვინ შეუთხზა და დაუწერა მობასუხეს პასუხი...

მღვდელს კვარ—იას. თუ მღვდელმა შ—ძემ მართლა გვირგვინი უკურთხა თქვენს სამრევლოს თვინიერ საჭირო მოწმობათა, უჩივლეთ, სადაც რიგია. «მწყემსის» რედაქცია ამისთანა საჩივრებს არ იღებს...

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ.

რედაქცია მორჩილად სთხოვს ყველა იმ ხელის მომწერლებს, რომელთაც ჯერ ფული არ შემოუტანიათ, დაუჩქარონ ფულის გამოგზავნას რედაქციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა 1889 წლისათვის ორკვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემსზე“

&

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა, არის — 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილთ სტატიებისა; 2) ვაცნობოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გაეცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა:

12 თვით «მწყემსი» 5 მ.	6 თვით «მწყემსი» 3 მ.
— „ ორივე გამოცემა 6 »	— „ ორივე გამოცემა 4 »
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 მ.

რედაქცია იმყოფება ქ. თბილისში სადოვის ქუჩაზე, მარკაროვის სახლებში.

რედაქციას აქვს კანტორები: ქ. ძუთაისში ხანანაშვილების სახლებში და დ. ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც რედაქციაში, ისე კანტორებში.

გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით; Въ Квирилу, въ контору редакціи „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

წელიწადი II სამეურნეო გაზეთი წელიწადი II

„მეურნე“

გამოდის ყვირილაში ერთხელ.

გაზეთი „მეურნე“ მომავალ 1889 წ. გამოიცემა იმავე პროგრამმით და სივრცით, როგორც ამ 1888 წ.

გაზეთის ფასი

| თბილისში | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

12 თთვით . .	10 მ.—კ.	6 თთვით . .	6 მ.—კ.
11 „ . .	9 „50»	5 „ . . .	5 „25»
10 „ . .	8 „75»	4 „ . . .	4 „75»
9 „ . .	8 „—»	3 „ . . .	3 „50»
8 „ . .	7 „25»	2 „ . . .	2 „75»
7 „ . .	6 „50»	1 „ . . .	1 „50»

საზღვარ-გარედ დაბარებული ელირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «Ивeрия» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ Редакцію газеты „ИВЕРІЯ“

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. ბანცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზე თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო 1-ლი გვერდი—60 მან. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალ-ბაზედ, რამ-დენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელთ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება, არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა გვაქვს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთ ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქმნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა 1-ლ საათიდამ 3 საათამდე და საღამოობით 7-და 8-მდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლ ბასტამოვისა, № 5. 3—

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე. *Дозволено цензурою, 1 января 1889 г.*

საკუთარი მსწრაფელ-მბეჭდავი რედაქციისა.